საჯარო სამართლის იურიდიული პირი -
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის
წ ა რ მ ო მ ა დ გ ე ნ ლ ო ბ ი თ ი ს ა ბ ჭ ო

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა №07-01/16

ქ. ბათუმი 28 მარტი, 2022 წ.

,,ბსუ-ში სწავლის საფასურის გადახდის წესის დამტკიცების შესახებ“ ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2015 წლის 29 სექტემბრის N06 გადაწყვეტილებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის, ბსუ-ს წესდების მე-10 მუხლის, ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2015 წლის N111 დადგენილების დამტკიცებული ,,ბსუ-ს სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის“, ,,ბსუ-ს 2021-2022 სასწავლო წლის აკადემიური კალენდარის ცვლილების შესახებ“ ბსუ-ს რექტორის 2021 წლის 1 ოქტომბრის N01-02/167 ბრძანების, ,,ადმინისტრაციული რეგისტრაციის გაუვლელობის (სწავლის საფასურის დავალიანების) გამო ბსუ-ს სტუდენტის სტატუსის შეჩერების შესახებ სამართლებრივი აქტის გამოსაცემად 2021-2022 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრში ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ“ ბსუ-ს რექტორის 2022 წლის 18 იანვრის N01-08/05 ბრძანების და წარმომადგენლობითი საბჭოს რეგლამენტის საფუძველზე წარმომადგენლობითმა საბჭომ

გადაწყვიტა:

1. ,,ბსუ-ში სწავლის საფასურის გადახდის წესის დამტკიცების შესახებ“ ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2015 წლის 29 სექტემბრის N06 გადაწყვეტილებაში შევიდეს ცვლილებები და დამატებები, კერძოდ, **N1** დანართის **(წესი):**

ა) მე-3 მუხლის მე-4 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,4. ბსუ-ს რექტორის ბრძანებით განისაზღვრება სემესტრული სწავლის საფასურის ნაწილ-ნაწილ (ეტაპებად) გადახდის შესაძლებლობა და ყოველ ეტაპზე გადასახდელი

ოდენობა, რაც არ გამორიცხავს აქტიური სტუდენტის სტატუსის მქონე პირისათვის სემესტრის სწავლის საფასურის სრულად დარიცხვას. სტუდენტს არ დაერიცხება მიმდინარე სემესტრის სწავლის საფასური:

ა) თუკი შეუჩერდება ბსუ-ს სტუდენტის სტატუსი შემოდგომის სემესტრში 1 ნოემბრამდე, ხოლო გაზაფხულის სემესტრში - 1 აპრილამდე;

ბ) თუკი აკადემიური რეგისტრაციის გაუვლელობის გამო შეუჩერდება ბსუ-ს სტუდენტის სტატუსი: შემოდგომის სემესტრში 1 ნოემბრის შემდეგ, ხოლო გაზაფხულის სემესტრში - 1 აპრილის შემდეგ;

გ) თუკი მიმდინარე სემესტრში კანონმდებლობით ან/და ბსუ-ს სამართლებრივი აქტით დადგენილ ვადაში წარმოდგენილი განცხადების საფუძველზე შეუჩერდება ბსუ-ს სტუდენტის სტატუსი: შემოდგომის სემესტრში 1 ნოემბრის შემდეგ, ხოლო გაზაფხულის სემესტრში - 1 აპრილის შემდეგ;

დ) კანონმდებლობით ან/და წარმომადგენლობითი საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრულ სხვა შემთხვევაში.";

ბ) მე-4 მუხლის პირველი და მე-2 პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,1. კანონმდებლობით ან/და ბსუ-ს სხვა სამართლებრივი აქტებით დადგენილ ვადაში წარმოდგენილი განცხადების ან სხვა საფუძვლით შემოდგომის სემესტრში პირველ ნოემბრამდე, ხოლო გაზაფხულის სემესტრში პირველ აპრილამდე ბსუ-ს სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის/შეჩერების შემთხვევაში, სტუდენტს არ დაერიცხება მიმდინარე სემესტრის სწავლის საფასური, ხოლო თუკი გადახდილი აქვს წინასწარ, წარმოდგენილი განცხადების საფუძველზე ექვემდებარება დაბრუნებას, ბსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ბრძანებით.
2. შემოდგომის სემესტრში 1 ნოემბრის შემდეგ, ხოლო გაზაფხულის სემესტრში 1 აპრილის შემდეგ ბსუ-ს სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის ან შეჩერების შემთხვევაში:

ა) სტუდენტის განცხადების საფუძველზე გამოცემული ბსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ბრძანებით დაბრუნებას ექვემდებარება ზედმეტად გადახდილი მომდევნო სემესტრის (კრედიტების) საფასური:
ბ) სტუდენტის განცხადების საფუძველზე გამოცემული ბსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ბრძანებით დაბრუნებას ექვემდებარება ზედმეტად გადახდილი მიმდინარე სემესტრის (კრედიტების) საფასური, თუკი სტუდენტს შეუჩერდება/შეუწყდება ბსუ-ს სტუდენტის სტატუსი: პირადი განცხადებით (კანონმდებლობით/ბსუ-ს აქტებით დადგენილ ვადაში წარმოდგენის შემთხვევაში);

მიმდინარე სემესტრში აკადემიური რეგისტრაციის გაუვლელობის გამო ან/და ბსუ-ს აკადემიური საბჭოს დადგენილებით/რექტორის ბრძანების საფუძველზე მიმდინარე სემესტრში სტუდენტის აკადემიური რეგისტრაციის შედეგების გაუქმების გამო.
გ) სახელმწიფო სასწავლო/სამაგისტრო გრანტის ან დაფინანსების მქონე სტუდენტს ჩაეთვლება იგი სასწავლო პროცესში დაბრუნების შემდეგი პერიოდის სწავლის საფასურში.";

გ) მე-5 მუხლის მე-4 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,4. ბსუ-ს გაცვლითი პროგრამის (საერთაშორისო მობილობის) ფარგლებში უცხოეთში ათვისებული და ბსუ-ს საგანმანათლებლო პროგრამასთან თავსებადი კრედიტების (სასწავლო კომპონენტის) აღიარების შესახებ ბსუ-ს რექტორის ბრძანების გათვალისწინებით:

ა) სტუდენტი თავისუფლდება საერთაშორისო მობილობის პერიოდში ათვისებული და შემდეგში ბსუ-ს მიერ აღიარებული კრედიტების (ბსუ-ს საგანმანათლებლო პროგრამასთან თავსებადი კრედიტების ფარგლებში) საფასურის გადახდისაგან (თუკი არ გადაუხდია);
ბ) სტუდენტს დაუბრუნდება ბსუ-ში მის მიერ გადახდილი, საერთაშორისო მობილობის პერიოდში ათვისებული და შემდეგში ბსუ-ს მიერ აღიარებული კრედიტების საფასური (ბსუ-ს საგანმანათლებლო პროგრამასთან თავსებადი კრედიტების ფარგლებში), სტუდენტის განცხადებისა და შესაბამისი ფაკულტეტის დეკანის სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე გამოცემული ბსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ბრძანებით;
გ) სტუდენტზე, რომელსაც მოპოვებული აქვს სახელმწიფო სასწავლო/სამაგისტრო გრანტი ან დაფინანსება, გაიცემა (კანონმდებლობით გათვალისწინებული გადასახადების ჩათვლით) საერთაშორისო მობილობის პერიოდში ათვისებული და შემდეგში ბსუ-ს მიერ აღიარებული კრედიტების საფასური (ბსუ-ს საგანმანათლებლო პროგრამასთან თავსებადი კრედიტების ფარგლებში), სტუდენტის განცხადებისა და შესაბამისი ფაკულტეტის დეკანის სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე გამოცემული ბსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ბრძანებით;";

დ) მე-7 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,მუხლი 7. შეღავათები სწავლის საფასურში

1. ბსუ-ში სწავლის საფასურში შეღავათი ენიჭება სრული ოდენობით (100 %-ით, მხოლოდ პროგრამით გათვალისწინებული კრედიტების მოცულობის ფარგლებში):

ა) ბსუ-ს საბაკალავრო/მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო/მედიცინის მიმართულებით ერთსაფეხურიანი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის იმ სტუდენტს, რომელიც არის მშობლების მზრუნველობას მოკლებული (დედ-მამით ობოლი ან უგზო-უკვლოდ დაკარგულად/გარდაცვლილად აღიარებული მშობლების შვილი);

ბ) შეზღუდული შესაძლებლობის მქონე საბაკალავრო/მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო/მედიცინის მიმართულებით ერთსაფეხურიანი/სამაგისტრო/სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტი.

2. სტუდენტისათვის ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული შეღავათის მინიჭების თაობაზე ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ბრძანება გამოიცემა სტუდენტის განცხადებისა და მის მიერ შემდეგი დოკუმენტების წარმოდგენის შემთხვევაში:

ა) მშობლების მზრუნველობას მოკლებული პირის შემთხვევაში (დედ-მამით ობოლი ან უგზო-უკვლოდ დაკარგულად/გარდაცვლილად აღიარებული მშობლების შვილი ან პირი, რომელსაც გარდაცვლილი ჰყავს დედა და დაბადების აქტის ჩანაწერში მამის შესახებ მონაცემების შეტანის საფუძველი იყო დედის განცხადება) - სტუდენტის დაბადების მოწმობის, მშობლების გარდაცვალების მოწმობების ან უგზო-უკვლოდ დაკარგულად/გარდაცვლილად აღიარების დამადასტურებელი დოკუმენტები;

ბ) შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის შემთხვევაში - შეზღუდული შესაძლებლობის დამადასტურებელი სამედიცინო ცნობა.

3. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული შეღავათი ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ბრძანებით სტუდენტს ენიჭება:

ა) მიმდინარე სემესტრიდან - თუკი შეღავათის მინიჭების საფუძველი წარმოიშვა 1 ნოემბრამდე და შემოდგომის სემესტრში წარმოდგენილია სტუდენტის განცხადება და თანდართული დოკუმენტაცია ან შეღავათის მინიჭების საფუძველი წარმოიშვა 1 აპრილამდე და გაზაფხულის სემესტრში წარმოდგენილია სტუდენტის განცხადება და თანდართული დოკუმენტაცია;
ბ) მომდევნო სემესტრიდან - თუკი შეღავათის მინიჭების საფუძველი წარმოიშვა 1 ნოემბრიდან და შემოდგომის სემესტრში წარმოდგენილია სტუდენტის განცხადება და თანდართული დოკუმენტაცია ან თუკი შეღავათის მინიჭების საფუძველი წარმოიშვა 1 აპრილიდან და გაზაფხულის სემესტრში წარმოდგენილია სტუდენტის განცხადება და თანდართული დოკუმენტაცია.

4.. სამხედრო მოსამსახურეებისა და მათი ოჯახების წევრების (მეუღლე, შვილი) განათლების ხელშეწყობის მიზნით, ბსუ-ს აკრედიტებული საგანმანათლებლო პროგრამების (საბაკალავრო/მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო/მედიცინის მიმართულებით ერთსაფეხურიანი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების) სტუდენტებს ბსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ბრძანებით ენიჭებათ შეღავათი (თავისუფლდებიან) ბსუ-ში სწავლის სემესტრული საფასურის 30 %-ის ოდენობით, მათ მიერ წარმოდგენილი განცხადებისა და შესაბამისი დოკუმენტაციის საფუძველზე (დაბადების მოწმობა, ქორწინების სარეგისტრაციო მოწმობა, ცნობა დასაქმების ადგილიდან და სხვა). მომდევნო სემესტრებში სწავლის საფასურის გადახდაში შეღავათის მინიჭების თაობაზე ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ბრძანება გამოიცემა ყოველ სემესტრში, სტუდენტის მიერ წარმოდგენილი განახლებული ინფორმაციის (ცნობა დასაქმების ადგილიდან) საფუძველზე.

5. სწავლის საფასურის გადახდასთან დაკავშირებით შეღავათები, გარდა ამ მუხლის პირველი-მე-4 პუნქტებით განსაზღვრული შემთხვევებისა, ბსუ-ს სტუდენტებს შეიძლება მიენიჭოთ წარმომადგენლობითი საბჭოს გადაწყვეტილებით დამტკიცებული ,,ბსუ-ში სასწავლო სოციალური პროგრამის „სტუდენტთა შეღავათები სწავლის საფასურში“ განხორციელების წესის“, ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს სხვა გადაწვეტილების ან/და ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ბრძანებით.

6. ,,ბსუ-ში სასწავლო სოციალური პროგრამის „სტუდენტთა შეღავათები სწავლის საფასურში“ განხორციელების წესს“ (შეღავათების კატეგორიები, მინიჭების პირობები, კონკურსის გამოცხადების/ჩატარების რეგულაციას) შეიმუშავებს ადმინისტრაციის ხელმძღვანელი და დასამტკიცებლად წარუდგენს წარმომადგენლობითი საბჭოს.

7. გარდაცვალების გამო ბსუ-ს სტუდენტის სტატუსშეწყვეტილი პირის სახელზე არსებული ფინანსური დავალიანება (გარდაცვალების დროისათვის არსებული) მოიხსნება/ჩამოიწერება, შესაბამისი ფაკულტეტის დეკანის სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე გამოცემული ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ბრძანებით.

8. ბსუ-ს სტუდენტის უცხო ქვეყანაში სასწავლო/სამეცნიერო კონფერენციაზე/სემინარზე/კონგრესზე მონაწილეობა შესაძლებელია დაფინანსდეს არაუმეტეს 1000 ლარის ოდენობით, ბსუ-ს პროგრამული ბიუჯეტის (შესაბამისი ქვეპროგრამის) ფარგლებში, ფაკულტეტის საბჭოს გადაწყვეტილების საფუძველზე გამოცემული ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ბრძანებით.“;

ე) მე-9 მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-6 პუნქტი:

,,6. ,,ადმინისტრაციული რეგისტრაციის გაუვლელობის (სწავლის საფასურის დავალიანების) გამო ბსუ-ს სტუდენტის სტატუსის შეჩერების შესახებ სამართლებრივი აქტის გამოსაცემად 2021-2022 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრში ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ“ ბსუ-ს რექტორის 2022

წლის 18 იანვრის N01-08/05 ბრძანებით დაწყებული ადმინისტრაციული წარმოების შედეგების გათვალისწინებით:

6.1. დაწყებული ადმინისტრაციული წარმოება შეიძლება შეწყდეს იმ სტუდენტის მიმართ, რომლის სწავლის საფასურის დავალიანება (2021-2022 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრის ჩათვლით სემესტრებისა) **2022 წლის 24 მარტის** მდგომარეობით შეადგენს:

ა) 1125 ლარის ჩათვლით, მის მიერ 2022 წლის 15 აპრილის ჩათვლით წარმოდგენილი განცხადების საფუძველზე გამოიცემა ბსუ-ს რექტორის ბრძანება/გაფორმდება შეთანხმება სწავლის საფასურის დარჩენილი დავალიანების გადახდის არაუგვიანეს 2022 წლის 30 ივნისისა გადავადების/განწილვადების თაობაზე;

ბ) 1126 ლარიდან 2250 ლარის ჩათვლით, 2022 წლის 15 აპრილის ჩათვლით დავალიანებას შეამცირებს არანაკლებ 20%-ით, ამასთან, ამავე ვადაში მის მიერ წარმოდგენილი განცხადების საფუძველზე გამოიცემა ბსუ-ს რექტორის ბრძანება/გაფორმდება შეთანხმება სწავლის საფასურის დარჩენილი დავალიანების გადახდის არაუგვიანეს 2022 წლის 30 ივნისისა გადავადების/განწილვადების თაობაზე;

გ) 2251 ლარიდან 3375 ლარის ჩათვლით, 2022 წლის 10 აპრილის ჩათვლით დავალიანებას შეამცირებს არანაკლებ 15%-ით, ამასთან, ამავე ვადაში მის მიერ წარმოდგენილი განცხადების საფუძველზე გამოიცემა ბსუ-ს რექტორის ბრძანება/გაფორმდება შეთანხმება სწავლის საფასურის დარჩენილი დავალიანების გადახდის არაუგვიანეს 2022 წლის 30 ივლისისა გადავადების/განწილვადების თაობაზე;

დ) 3375 ლარზე მეტს, 2022 წლის 05 აპრილის ჩათვლით დავალიანებას შეამცირებს არანაკლებ 10%-ით, ამავე ვადაში მის მიერ წარმოდგენილი განცხადების საფუძველზე გამოიცემა ბსუ-ს რექტორის ბრძანება/გაფორმდება შეთანხმება სწავლის საფასურის დარჩენილი დავალიანების გადახდის არაუგვიანეს 2022 წლის 30 აგვისტოსა გადავადების/განწილვადების თაობაზე;

6.2. ადმინისტრაციული წარმოება შეიძლება შეწყდეს იმ სტუდენტის მიმართ, რომელმაც ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შემდეგ არაუგვიანეს 2022 წლის 24 მარტისა წარმოადგინა განაცხადი სწავლის საფასურის გადავადების/განწილვადების თაობაზე და ამავე ვადაში გადაიხადა არანაკლებ 375 ლარი. მოცემულ შემთხვევაში შესაძლებელია სტუდენტთან გაფორმებული

შეთანხმებით სწავლის საფასურის დარჩენილი დავალიანების გადახდა გადავადდეს არაუგვიანეს 2022 წლის 30 აგვისტოსა.

6.3. სტუდენტთან წერილობითი შეთანხმება სწავლის საფასურის დარჩენილი დავალიანების გადახდის გადავადების/განწილვადების თაობაზე გაფორმდეს რექტორის ბრძანებით დამტკიცებული ფორმით.

6.4. სტუდენტის მიერ სწავლის საფასურის დარჩენილი დავალიანების გადახდის გადავადების/განწილვადების თაობაზე გაფორმებული შეთანხმების დარღვევის შემთხვევაში გამოიცეს ბსუ-ს სტუდენტის სტატუსის შეჩერების შესახებ ბსუ-ს რექტორის ბრძანება, კანონმდებლობით დადგენილი წესით.

6.5. სტუდენტების მიმართ, რომლებიც წინამდებარე მუხლის **6**.1. ან/და 6.2. პუნქტებით გათვალისწინებულ მოთხოვნებს არ შეასრულებენ შესაბამის ვადებში (5 აპრილის/10 აპრილის/15 აპრილის ჩათვლით) გამოიცეს ბსუ-ს სტუდენტის სტატუსის შეჩერების შესახებ ბსუ-ს რექტორის ბრძანება, 2021-2022 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრის სწავლის საფასურის დარიცხვის გარეშე.

2.. გადაწყვეტილება გამოქვეყნდეს ბსუ-ს ვებგვერდზე და პორტალზე, ასევე ფაკულტეტების ადმინისტრაციამ აცნობოს შესაბამის სტუდენტებს.
3. წინამდებარე გადაწყვეტილების გათვალისწინებით იურიდიულმა დეპარტამენტმა მოამზადოს სწავლის საფასურის გადახდის წესის კოდიფიცირებული ვერსია და წარადგინოს ბსუ-ს იურიდიულ ცნობარში და სტუდენტთა გზამკვლევში განთავსებისათვის.
4. გადაწყვეტილება დაეგზავნოს ბსუ-ს მართვის ორგანოებს, რექტორის მოადგილეს (ა. ბერიძე), ფაკულტეტებს, სასწავლო პროცესის დეპარტამენტს, სამეცნიერო კვლევების სამსახურს, საფინანსო-ეკონომიკურ დეპარტამენტს, იურიდიულ დეპარტამენტს, და საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს.
5. გადაწყვეტილება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
6. გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ბსუ-ს ვებგვერდზე გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ქ. ბათუმი, სტეფანე ზუბალაშვილის №30).

წარმომადგენლობითი საბჭოს
სხდომის თავმჯდომარე, პროფესორი **ემზარ მაკარაძე**